



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი
მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს თ ა ვ მ ო ო ო მ ა რ ე
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 102

25/07/2018

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 26-ე მუხლის პირველი პუნქტის , 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის , ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. 2018 წლის 25 ივნისს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი **დღის წესრიგით**

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სამოქმედო პროგრამის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ილია ყუფარაძე - მერიის სივრცით მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

2. ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ჟორჯოლიანი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე